პირველი შთაბეჭდილებანი

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 15 მარტი.

“დინამო” (თბილისი) _ “ტორპედო” (მოსკოვი) _ 3:0 (1:0).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩიკაშვილი, კუტივაძე, პეტრიაშვილი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

“ტორპედო”: ლაიზანი (ისაიჩევი), იანეცი, მირონოვი, კრასნოვი, იურინი, ჩუმაკოვი, ლენიოვი, პაისი, შალიმოვი (სპირიდონოვი), გერშკოვიჩი, სავჩენკო.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

თბილისურმა მოგვიანებულმა ზამთარმა ზედ მატჩის დღეს გვაპატია: ერთი მზიანი დღეც საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ მინდორი სრულ წესრიგში მოსულიყო და ფეხბურთელებსაც ნორმალურ პირობებში თამაშის საშუალება მიეცათ.

ბრძოლა პირველსავე წუთებიდან სრული დაძაბულობით გაჩაღდა. თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ტორპედოს” შეხვედრათა კარგ ტრადიციებზე, მათ შორის ჩატარებული მატჩების მაღალ ხარისხზე ხშირად წერენ. ეს სრული სიმართლეა და ასე იყო ამჯერადაც. გათამაშების პირველი მატჩი მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო გამოდგა. გუნდები თამაშობდნენ მაღალ ტემპში, კარგ ტექნიკურ დონეზე, სწრაფი შეტევებით; დაცვითი ხაზები არ იყო “დამძიმებული” ზედმეტი მოთამაშეებით, იერიშები დიდი ძალებით ხორციელდებოდა.

თბილისელ მაყურებელს წლეულს არ უნახავს თავისი გუნდი მინდორზე და, გულახდილად უნდა ითქვას, შავი ზღვის სანაპიროდან მოსული ძუნწი ცნობები გარკვეულ შეშფოთებას იწვევდა გულშემატკივრებში. ახლა კი, როცა უკან დარჩა კალენდარული მატჩი ძლიერ მეტოქესთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუნდი ურიგოდ არ გამოიყურება და მისი ახლანდელი შემადგენლობა სეზონის ამ ეტაპზე საუკეთესოა.

3:0 დიდი ანგარიშია. იგი სპეციალური პრიზის აქტივში შედის და ერთი ჩათვლითი ქულა დინამოელებმა ამ პრიზისთვის ბრძოლაში უკვე ჩაიწერეს. მაგრამ პრიზი პრიზად, ჩვენ კი გვაინტერესებს, როგორ ფორმაშია გუნდი და რა პერსპექტივები აქვს სტარტზე, სადაც მას უხდება ბრძოლა ჩემპიონთან, ვეცე-ჩემპიონთან და ძველ სპორტულ “მტერთან” _ მოსკოვის “დინამოსთან”.

გარკვეული ნაკლოვანებანი თბილისელთა თამაშში, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ამ ხარვეზებს უფრო ტრადიციული ხასიათი აქვთ. ესაა ზედმეტი ინდივიდუალიზმი, ნაჩქარეობა და, რაც მთავარია, უზუსტო გადაცემები. ვინ მოთვლის, რამდენი კარგად ჩაფიქრებული, ეფექტური კომბინაცია ჩაიშალა, რამდენი გაშლილი შეტევა შეფერხდა “მხოლოდ” იმის გამო, რომ გადაცემა, თუნდაც სულ უბრალო სიტუაციაში, ზუსტი არ იყო. ამ მხრივ გამოირჩეოდა მარტო კუტივაძე, რომელიც მხოლოდ უახლოეს პარტნიორებს კი არ ეთამაშება, არამედ კარგად ხედავს და გრძნობს შორეულ ფლანგებზე მყოფ თავდამსხმელებსაც, შესანიშნავად ურთიერთმოქმედებს მათთან.

დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ დებიუტანტ ხინჩიკაშვილის (იგი რუსთავის “მეტალურგიდან” მოვიდა გუნდში) კარგი სტარტი. ამ ახალგაზრდა მცველს საჭირო ფიზიკურ მონაცემებთან ერთად აქვს დისტანციის ალღო, მოწინააღმდეგესთან ინდივიდუალური ბრძოლისა და სხვა მოთამაშეებთან ურთიერთმოქმედების უნარი. უდავოა, ხინჩიკაშვილის სახით ჩვენს გუნდს საიმედო მებრძოლი ეზრდება.

განსაკუთრებით სასიამოვნოა მეტრეველის საბრძოლო ფორმის აღორძინება. შარშანდელი შეზღუდულობის და გაურკვეველი შებორკილობის კვალიც არ დარჩა. მეტრეველმა ითამაშა ისე, როგორც წარსული წლების საუკეთესო მატჩებში და ეს მაშინვე დაეტყო დინამოელთა საერთო ბრძოლისუნარიანობას.

“დინამოს” ცალკეულ მოთამაშეებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა, საერთოდ კი ცხადია, რომ ისინი კარგად მომზადებულან და სათანადო ფორმაშიც არიან.

“ტორპედოს” არაერთხელ უბრძოლია ჩვენთან წარმატებით და ამას იგი უმთავრესად თამაშის სწორი ორგანიზაციის მეშვეობით აღწევდა. ამ მატჩში ტორპედოელები როგორღაც არ ჰგავდნენ თავიანთ თავს და უპირველესად სწორედ ორგანიზაცია ჰქონდათ სუსტი. ნახევარმცველები ხშირად ფერხდებოდნენ შეტევაში გადასვლის დროსაც და უკან დახევისასაც, თავდასხმა სისტემატურად აგებდა პირისპირ ბრძოლას, არ იყო შეთამაშებული დაცვა, ხშირად უშვებდა ტექნიკური ხასიათის შეცდომებს, კერძოდ, მირონოვი.

დინამოელებმა ტაიმი მოიგეს მხოლოდ მინიმალური ანგარიშით, თუმცა მეტიც შეიძლებოდა. კუტივაძემ საუცხოოდ ითამაშა 35-ე წუთზე და ინდივიდუალური რეიდი შორ კუთხეში ზუსტი დარტყმით დაამთავრა _ 1:0. მოსკოველებმა ცოტა ხნით გამოასწორეს თამაში მეორე ტაიმის დასაწყისში, მაგრამ მათი "აფეთქება" მალე ჩაქრა და მინდორი ისევ დინამოელებმა დაიპყრეს.

63-ე წუთზე "ტორპედოს" საჯარიმო მოედანზე შექმნილ სახიფათო მომენტში გ. ნოდიამ შეასრულა მოულოდნელი დარტყმა მოტრიალებით, ლაიზანი კი მზად არ აღმოჩნდა ბურთის ასაღებად. 79-ე წუთზე მეტრეველმა ლამაზი გოლი გაიტანა ლაიზანის ნაცვლად გამოსული ისაიჩევის კარში _ 3:0.

პირველი ქულები არის. წინაა უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩი კიევის "დინამოსთან". თბილისელებმა უნდა შეინარჩუნონ კარგად აღებული სტარტი..

რ. ქორიძე.
"ლელო", 17 მარტი, 1970 წ.